4871/3-74/22 2 31052022

4871/3-74/22
31-05-2022

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარმოდგენილი 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვის შესახებ საინფორმაციო ფურცლით დგინდება, რომ ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის (ორგანიზაციული კოდი - 33 09 02) მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები I კვარტალში ათვისებულ იქნა 2.72%-ით.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომაზე თქვენდამი დაქვემდებარებული სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით გამოყოფილი ბიუჯეტის შესრულების პროცენტული ოდენობა გაპირობებული იყო სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოში მიმდინარე რეორგანიზაციით და ასათვისებელი საბიუჯეტო სახსრები გადანაწილდა დარჩენილი 9 თვეზე.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის (ორგანიზაციული კოდი - 33 09 02) მიზნით ასათვისებელი საბიუჯეტო სახსრების 2022 წლის დარჩენილ 9 თვეზე გადანაწილების თაობაზე (კონკრეტული აქტივობების და მათ განსახორციელებლად განსაზღვრული პერიოდის მითითებით).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გივი მიქანაძე